ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2011-2012 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის აღდგენა/გადაყვანის წესის (მობილობის) საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტთა ფინანსური დავალიანების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2010 წლის 20 აპრილის №27/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2011 წლის 3 ნოემბრის №01-5829 მინდობილობის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის" მესამე მუხლის მეოთხე პუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2010 წლის 10 მარტის №36 სხდომაზე დამტკიცებული ,,სტუდენტის სტატუსის მარეგულირებელი წესის" მეორე მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ

1. სტუდენტები, რომლებიც **2011-2012 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის აღდგენა/გადაყვანის (მობილობის) წესით** ჩაირიცხნენ სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში და უნივერსიტეტის მიმართ ერიცხებათ ფინანსური დავალიანება, ეძლევათ გაფრთხილება, დაფარონ სწავლის საფასური 2011 წლის 10 დეკემბრამდე.

2. სტუდენტებს, რომლებიც არ დაფარავენ სწავლის საფასურს ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ ვადაში, 2011 წლის 10 დეკემბრის შემდეგ დამატებითი გაფრთხილების გარეშე შეუჩერდებათ სტუდენტის სტატუსი.

3. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ბრძანება განათავსონ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

4. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ყველა ფაკულტეტს, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების დეპარტამენტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საფინანსო სამმართველოსა და აღრიცხვა-ანგარიშის სამმართველოს.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე
ფინანსების ადმინისტრირების მიმართულებით
თეიმურაზ სამადაშვილი